

ფინანსური ანგარიშგება

შპს კოსტ-კასტლ გეო

საიდენტიფიკაციო კოდი: 406203638

ფაქტობრივი მისამართი: ქ. თბილისი, დავით კობახიძის ქუჩა №36 ე

31 დეკემბერი 2024 წელი

შინაარსი

1. ბალანსი (შენიშვნებით)	4
2. მოგება-ზარალის ანგარიში (შენიშვნებით)	5
3. კაპიტალის ცვლილებების ანგარიში	6
4. განმარტებითი შენიშვნები	7 - 15

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე, რომელიც სამართლიანად ასახავს შპს "კოსტ-კასტლ გეო"-ს (შემდგომში კომპანია) ფინანსურ ანგარიშგებას 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, რაც მოიცავს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშს 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მოგება-ზარალის სხვა ჯამური შემოსავლის ანგარიშს და კაპიტალის ცვლილების ანგარიშს ამ თარიღისთვის დასრულებული წლისათვის და მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის და სხვა განმარტებითი ინფორმაციის („ფინანსური ანგარიშები“) შეჯამებას.

აღნიშნული ფინანსური ანგარიშები მომზადებულია მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების ("მსს ფასს") მიხედვით. ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია:

1. მართებული ბუღალტრული პრინციპების არჩევასა და მათ თანმიმდევრულ გამოყენებაზე;
2. გონივრულ მსჯელობაზე და შეფასებებზე;
3. განცხადებაზე, არის თუ არა ფინანსური ანგარიშგება მომზადებული მსს ფასს-ის მიხედვით;

ხელმძღვანელობა აგრეთვე პასუხისმგებელია:

1. კომპანიაში ეფექტიანი შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებაზე, დანერგვასა და შენარჩუნებაზე;
2. ისეთი ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე, რომელიც ნებისმიერ დროს, გონივრული სიზუსტით წარმოადგენს ფინანსურ მდგომარეობას და იძლევა რწმუნებას, რომ კომპანიის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება შეესაბამება მსს ფასს-ის მოთხოვნებს;
3. სავალდებულო ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად;
4. ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება, რომელიც მომზადებულია 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ხელმძღვანელობის მიერ დამტკიცდა გამოსაშვებად 2025 წლის 25 სექტემბერს.

დირექტორი: / ვუგარ ალიევი/

ბუღალტერი: /მარინა პორტიანკოვა/



შპს კოსტ-კასტლ გეო
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული პერიოდისთვის
თანხები გამოხატულია ლარში

აქტივები	შენ.	31-დეკ-2024	31-დეკ-2023
მიმდინარე აქტივები			
ფული და ფულის ექვივალენტები	8	169,764	1,301,356
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები		537,282	408,936
გადახდილი ავანსები		143,061	189,225
მარაგები	11	618,618	651,790
სხვა მოკლევადიანი აქტივები		-	-
სულ მიმდინარე აქტივები		1,468,725	2,551,307
გრძელვადიანი აქტივები:			
ძირითადი საშუალებები	10	1,899,411	428,687
არამატერიალური აქტივები		521	521
სულ გრძელვადიანი აქტივები:		1,899,932	429,208
სულ აქტივები		3,368,657	2,980,515
ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი			
მიმდინარე ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები		203,642	27,266
მიღებული ავანსები		-	-
გადასახდელი ხელფასები		9,462	11,121
საგადასახადო ვალდებულებები		33,796	36,877
მოკლევადიანი სესხები		348,483	479,341
გადასახდელი პროცენტები		24,659	16,285
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები		542	7,792
სულ მიმდინარე ვალდებულებები:		620,584	578,682
გრძელვადიანი ვალდებულებები			
გრძელვადიანი სესხები		793,179	941,662
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები:		793,179	941,662
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		652,380	400,580
გაუნაწილებელი მოგება/(ზარალი)		1,302,514	1,059,591
სულ კაპიტალი		1,954,894	1,460,171
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		3,368,657	2,980,515

დირექტორი: / ვუგარ ალიევი/
ბუღალტერი: /მარინა პორტიანკოვა/

[Handwritten signature]



შპს კოსტ-კასტლ გეო
მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლების ანგარიშგება
2024
თანხები გამოხატულია ლარში

შემოსავლები:	შენ.	2024 წ.	2023 წ.
შემოსავალი რეალზაციიდან თვითღირებულება	14	5,932,836 (4,559,974)	2,554,653 (1,828,795)
საერთო მოგება:		1,372,862	725,858
მიწოდების ხარჯები	15	(447,607)	(231,364)
თანამშრომელთა ხელფასი და სხვა სარგებელი		(161,561)	(66,695)
ცვეთა და ამორტიზაცია		(230,751)	(75,920)
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	15	(207,181)	(201,737)
საგადასახადო ხარჯი		(12,868)	(1,848)
საექვო და უიმედო მოთხოვნების ხარჯი		-	-
საოპერაციო მოგება		312,894	148,294
ფინანსური შემოსავალი/(ხარჯები)		170,596	433,386
სხვა წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი/(ხარჯი)		(240,567)	(46,408)
მოგება/(ზარალი დაბეგვრამდე)		242,923	535,272
მოგების გადასახადი		-	-
პერიოდის მოგება/(ზარალი)		242,923	535,272

დირექტორი: / ვუგარ ალიევი/
ბუღალტერი: /მარინა პორტიანკოვა/



შპს კოსტ-კასტლ გეო
 კაპიტალში მოძრაობის უწყისი
 2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული პერიოდისთვის
 თანხები გამოხატულია ლარში

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება/(ზარალი)	სულ მფლობელთა კაპიტალი
დეკემბერი 31,2022	400,580	524,319	924,899
ცვლილება +/-	-	-	-
საწესდებო კაპიტალი	-	-	-
პერიოდის შედეგი	-	535,272	535,272
დივიდენდი	-	-	-
დეკემბერი 31,2023	400,580	1,059,591	1,460,171
ცვლილება +/-	251,800	-	251,800
საწესდებო კაპიტალი	-	-	-
პერიოდის შედეგი	-	242,923	242,923
დივიდენდი	-	-	-
დეკემბერი 31,2024	652,380	1,302,514	1,954,894

დირექტორი: / ვუგარ ალიევი/

ბუღალტერი: /მარინა პორტიანკოვა/




ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

1. კომპანია და მისი ოპერაციები

შპს „კოსტ-კასტლ გეო“ (შემდგომში კომპანია) დაფუძნდა 2017 წლის 9 მარტს და მდებარეობს საქართველოში. „კომპანია“ შეიქმნა შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების სახით საქართველოს სამეწარმეო საქმიანობის რეგულაციების შესაბამისად. მისი რეგისტრირებული იურიდიული მისამართია: საქართველო, ქ. თბილისი, სამგორის რაიონი, გ. აბაშვილის ქ., N3, კორპ. N5, ბ. N21;

ფაქტობრივი მისამართი: ქ.თბილისი, დავით კობახიძის 36 ე.

საიდენტიფიკაციო კოდი: 406203638 „კომპანიის“ დირექტორია ბატონი ვუგარ ალიევი (პ/ნ: 01391047891), რომელიც „კომპანიის“ წილის 100%-ს ფლობს.

შპს „კოსტ-კასტლ გეო“ არის დისტრიბუტორული კომპანია და მისი ძირითადი საქმიანობაა: საცალო და საბითუმო ვაჭრობა, დისტრიბუცია უალკოჰოლო და ალკოჰოლური სასმელებით- ეკონომიკური საქმიანობის (NACE) კოდები:

46341 საბითუმო ვაჭრობა ალკოჰოლიანი სასმელებით

46342 საბითუმო ვაჭრობა უალკოჰოლო სასმელებით

47250 საცალო ვაჭრობა სასმელებით სპეციალიზებულ მაღაზიებში

2. მომზადების საფუძველი

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება წარმოადგენს „კომპანიის“ წლიურ ფინანსურ ანგარიშგებას, რომელიც მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (მსს ფასს) და ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია პირველადი ღირებულების მეთოდის გამოყენებით. კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით.

კომპანიაში ფინანსური და ბუღალტრული აღრიცხვის ავტომატიზაციის მიზნით დანერგილია ბუღალტრული აღრიცხვის ელექტრონული საინფორმაციო ტექნოლოგიები, კერძოდ ბუღალტრული აღრიცხვის კომპიუტერული პროგრამა „Info“. პროგრამაში უზრუნველყოფილია

ოპერაციების სინთეზური და ანალიზური აღრიცხვა ბუღალტრული ანგარიშების მიხედვით.

სააღრიცხო პოლიტიკა, რომელსაც კომპანია იყენებს მსს ფასს—ზე გადასვლის შემდეგ კომპანიის პირობებში არსებითად არ განსხვავდება იმ სააღრიცხო პოლიტიკისგან, რომელიც გამოყენებული იყო წინა საანგარიშო პერიოდებში. აღნიშნულის გათვალისწინებით, ამ სტანდარტზე გადასვლის თარიღამდე არსებული ოპერაციების, მოვლენებისა და გარემოებების შედეგად შესაბამისი კორექტირებების აუცილებლობა არ წარმოქმნილა.

3.სამუშაო და ანგარიშების ვალუტა

საქართველოს ეროვნული ვალუტა არის ქართული ლარი („ლარი“ „GEL“), რომელიც კომპანიის სამუშაო ვალუტას წარმოადგენს. უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციების და უცხოურ ვალუტაში გამოხატული ფულადი აქტივების და ვალდებულებების აღრიცხვა ხდება ანგარიშების დღეს არსებული სამუშაო ვალუტის გაცვლითი კურსით. უცხოური ვალუტაში განხორციელებული ოპერაციების და უცხოურ ვალუტაში გამოხატული ფულადი აქტივების და ვალდებულებების კონვერტაციით გამოწვეული მოგება და ზარალი აისახება როგორც ფინანსური შემოსავლები და ხარჯები.

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ანგარიშგებაში გამოყენებულია შემდეგი კურსები: აშშ დოლარი - 2.7020, ევრო - 2.8844.

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ანგარიშგებაში გამოყენებულია შემდეგი კურსები: აშშ დოლარი - 2.6894, ევრო - 2.9753.

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ანგარიშგებაში გამოყენებულია შემდეგი კურსები: აშშ დოლარი - 2.8068, ევრო - 2.9306.

4.საქმიანობის უწყვეტობა („ფუნქციონირებადი საწარმო“)

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპზე დაყრდნობით, რაც გულისხმობს აქტივების რეალიზაციას და ვალდებულებების დაფარვას ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში.

5. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა:

ქვემოთ მოცემულია კომპანიის მიერ თავისი ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები, რომლებიც თანმიმდევრულად ვრცელდება ყველა წარმოდგენილ პერიოდზე. აქტივებისა და ვალდებულებების კლასიფიკაცია მოკლევადიანად და გრძელვადიანად: კომპანია აქტივებსა და ვალდებულებებს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარმოადგენს მათი მოკლე და გრძელვადიანად კლასიფიკაციის საფუძველზე.

- აქტივი მოკლევადიანია, როდესაც: მოსალოდნელია მისი გამოყენება ან რეალიზება 1 საანგარიშო წელზე ნაკლებ ვადაში და მისგან მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის მიღება.

- გრძელვადიანია აქტივი, რომლის გამოყენებაც მოსალოდნელია 1 საანგარიშო წელზე მეტი ვადით და მისგან მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის მიღება.

- ვალდებულება მოკლევადიანია, როდესაც მოსალოდნელია მისი დაფარვა ჩვეულებრივი საოპერაციო ციკლის განმავლობაში; ყველა დანარჩენ ვალდებულებას კომპანია გრძელვადიანის კატეგორიას მიაკუთვნებს.

6. შეფასების და წარდგენის ვალუტა:

ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული მუხლები წარმოდგენილია იმ ქვეყნის ვალუტაში, სადაც კომპანია ფუნქციონირებს (საოპერაციო ვალუტა). ამგვარად, მოცემული ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარში, რომელიც კომპანიის სამუშაო და წარმოსადგენი ვალუტაა.

7. აქტივები:

კომპანიის გრძელვადიანი აქტივები შედგება ძირითადი საშუალებებისგან და არამატერიალური აქტივებისგან. მიმდინარე აქტივები თავის მხრივ შედგება, ფულის და მათი ეკვივალენტებისგან, სასაქონლო-მატერიალური მარაგებისგან, გადახდილი ავანსებისგან და მოკლევადიანი მოთხოვნებისგან.

8. ფული და ფულის ეკვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მოიცავს საბანკო ანგარიშებზე და კომპანიის სალაროში არსებულ თანხებს.

ფული და ფულის ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები	31-დეკ-2024	31-დეკ-2023
ნაღდი ფული ეროვნულ ვალუტაში	57,997	19,131
ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში	111,131	16,032
უცხოური ვალუტა რეზიდენტ ბანკში	627 -	
ფული სხვა საბანკო ანგარიშებზე	-	1,266,193
ფულადი გზავნილები კონვერტაციის დროს	8	
სულ ფული და ფულის ეკვივალენტები	169,764	1,301,356

9. სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა დებიტურული დავალიანება გროვდება როდესაც კონტრაგენტმა შეასრულა თავისი სახელშეკრულებო ვალდებულებები. სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება თავდაპირველად აღიარებულია რეალური ღირებულებით. კომპანიის გადახდილი ავანსები წარმოადგენს წინასწარ გადახდილ თანხებს საქონლის და მომსახურების შესყიდვის მიზნით.

10. ფიქსირებული აქტივების ნარჩენი ღირებულება

ძირითადი საშუალებები აღირიცხება მათ თავდაპირველ ღირებულებას დაკლებული დაგროვილი ცვეთა ან/და გაუფასურების ღირებულება. თვითღირებულება განისაზღვრება შესყიდვის ფასით, იმპორტთან დაკავშირებული გადასახადებით, გამოუქვითავი გადასახადებით და სხვა პირდაპირი ხარჯებით. მოგება და ზარალი რომელიც წარმოიშვება აქტივის გაყიდვიდან ან ჩამოწერიდან, განისაზღვრება სხვაობით მიღებული სარგებლისა და საბალანსო ღირებულებას შორის და აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშებში.

ყველა სახის სხვა დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია მიმდინარე ტიპის რემონტებთან, აღიარდება როგორც ხარჯი მისი გაწევის პერიოდში, მოგება-ზარალში ასახვით. ძირითად საშუალებებზე ცვეთის დარიცხვა იწყება მაშინ, როდესაც შესაძლებელია მისი გამოყენება, ანუ, როდესაც აქტივი არის იმ ადგილას, ან ისეთ სამუშაო მდგომარეობაში, რაც აუცილებელია აქტივის გამოსაყენებლად ხელმძღვანელობის მიერ დასახული მიზნებისათვის. ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში მათი ცვეთადი ღირებულების სისტემატურ საფუძველზე გასანაწილებლად კომპანია იყენებს ცვეთის დარიცხვის წრფივ მეთოდს, რაც გულისხმობს ცვეთის ერთი და იმავე თანხის დარიცხვას აქტივის მთელი მომსახურების ვადის მანძილზე. ძირითადი საშუალებების აღიარება შეწყდება მისი გაყიდვის შემთხვევაში, ან როდესაც აღარ არის მოსალოდნელი მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აქტივის გამოყენებით. ძირითადი საშუალების გაყიდვის და ხმარებიდან ამოღების შედეგად წარმოშობილი ნებისმიერი მოგება ან ზარალი განისაზღვრება, როგორც სხვაობა გაყიდვიდან მიღებულ შემოსავლებსა და აქტივის ნარჩენ საბალანსო ღირებულებას შორის და აღიარდება მოგება-ზარალში.

	შენიშნა- ნაგებობები	მანქანა- დანადგარ ები	ოფისის აღჭურვილობა , ავეჯი და სხვა ინვენტარი	სხვა ძირითადი საშუალებები	სულ
31 დეკემბერი, 2022	-	67,373	151,549	11,233	230,155
დამატება	-	139,658	209,450	509	349,617
ჩამოწერა	-	-	-	-	-
31 დეკემბერი, 2023	-	207,031	360,999	11,742	579,772
დამატება	1,417,416	71,068	210,603	-	1,699,087
ჩამოწერა	-	-	-	-	-
31 დეკემბერი, 2024	1,417,416	278,099	571,602	11,742	2,278,859

	შენიშნა- ნაგებობების ცვეთა	მანქანა- დანადგარ ების ცვეთა	ოფისის აღჭურვილობა , ავეჯი და სხვა ინვენტარის ცვეთა	სხვა ძირითადი საშუალებების ცვეთა	სულ
დაგროვილი ცვეთა 31 დეკემბერი 2022	-	34,534	35,116	5,763	75,413
ცვეთის ხარჯი	-	15,434	57,558	2,680	75,672
ჩამოწერა	-	-	-	-	-
დაგროვილი ცვეთა 31 დეკემბერი 2023	-	49,968	92,674	8,443	151,085
ცვეთის ხარჯი	29,244	24,783	176,724	-	230,751
ჩამოწერა	-	-	(1,755)	(633)	(2,388)
დაგროვილი ცვეთა 31 დეკემბერი 2024	29,244	74,751	267,643	7,810	379,448

	შენიშნა- ნაგებობები	მანქანა- დანადგარ ები	ოფისის აღჭურვილობა , ავეჯი და სხვა ინვენტარი	სხვა ძირითადი საშუალებები	სულ
31 დეკემბერი, 2022	-	32,839	116,433	5,470	154,742
31 დეკემბერი, 2023	-	157,063	268,325	3,299	428,687
31 დეკემბერი, 2024	1,388,172	203,348	303,959	3,932	1,899,411

11. სასაქონლო-მატერიალური მარაგები

წინამდებარე ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში სასაქონლო-მატერიალური მარაგების შეფასება ხდება თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესი თანხით. სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების თვითღირებულება მოიცავს შეძენის

დანახარჯებს. შეძენის დანახარჯები მოიცავს: შეძენის (ნასყიდობის) ფასს; საიმპორტო საბაჟო გადასახადს და სხვა გადასახადებს (გარდა საგადასახადო ორგანოების მიერ საწარმოსათვის დასაბრუნებელი გადასახადებისა); სატრანსპორტო, დატვირთვა-გადმოტვირთვის დანახარჯები, სხვა პირდაპირი ხარჯები აღიარდება დამოუკიდებლად როგორც ხარჯი. კომპანიის ბიზნეს საქმიანობიდან გამომდინარე, კომპანიის მარაგები შედგება ნედლეულისა და მასალაებისაგან, ასევე, სხვა სახარჯი ტიპის მარაგებისაგან.

მარაგები	31-დეკ-2024	31-დეკ-2023
საქონელი	320,273	559,714
ნედლეული და მასალა	89,099	82,363
დაუმთავრებელი წარმოება	-	-
მზა პროდუქცია	-	-
სხვა მარაგები	209,246	9,713
სულ მარაგები	618,618	651,790

12. მოკლევადიანი ვალდებულებები

მოკლევადიანი ვალდებულებების დარიცხვა ხდება მაშინ, როდესაც კონტრაგენტი ასრულებს ან აქვს აღებული ვალდებულება შეასრულოს თავისი მოვალეობები საქონლის მოწოდებასთან ან მომსახურების გაწევასთან დაკავშირებით. კომპანიას კრედიტორული დავალიანებებს წარმოადგენს: მოკლევადიანი ვალდებულებები წარმოშობილი საქონლის მოწოდებასთან ან მომსახურებასთან დაკავშირებით, გადასახდელი შრომის ანაზღაურება, გადასახდელი გადასახადები, გადასახდელი სესხები და ასევე მიღებული ავანსები.

13. გრძელვადიანი ვალდებულებები

გრძელვადიანია ყველა ის ვალდებულება, რომლის დაფარვის ვადაც აღემატება 1 წელს და მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის გადინება საწარმოდან. კომპანიას 2023 წლის ბოლოს აქვს აღებული გრძელვადიანი სესხი თიბისი ბანკისგან.

14. შემოსავლის აღიარება

შემოსავლების შეფასება ხდება მიღებული, ან მისაღები ანაზღაურების სამართლიანი ღირებულებით გადასახადებისა და მოსაკრებლების გამოკლებით. კომპანია საქონლის/მომსახურების გაყიდვის შედეგად მიღებულ ამონაგებს აღიარებს, როდესაც საწარმო მყიდველს გადასცემს საქონლის საკუთრებასთან დაკავშირებულ ყველა მნიშვნელოვან რისკს და სარგებელს. შემოსავალში გათვალისწინებულია კომპანიის ფასდაკლებები და ფასდათმობები. შემოსავალი მცირდება შეფასებული ფასდაკლებებით და სხვა მსგავსი შეღავათებით.

შემოსავალი რეალიზაციიდან	2024	2023
შემოსავალი ძირითადი საქმიანობიდან	5,932,836	2,554,653
სხვა საოპერაციო შემოსავლები	-	-
სულ შემოსავალი რეალიზაციიდან	5,932,836	2,554,653

15. ხარჯის აღიარება

მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ხარჯები აღიარდება, თუ ის იწვევს მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირებას, რომელიც დაკავშირებულია აქტივების შემცირებასთან, ან ვალდებულების ზრდასთან და შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები მოიცავს შრომის ანაზღაურებას, კომუნიკაციის და კომუნალურ ხარჯებს, საბანკო მომსახურებას, მარკეტინგულ მომსახურებას და სხვა საოფისე და საოპერაციო ხარჯებს.

მიწოდების ხარჯები	2024	2023
მიწოდებაზე შრომის ანაზღაურება	300,254	147,512
ტრანსპორტირებისა და შენახვის ხარჯები	35,864	1,135
მიწოდების სხვა ხარჯები	4,512	16,611
მანქანების დაზღვევის ხარჯი	1,835	-
საწვავის ხარჯები	81,538	47,706
მანქანის ხარჯები	16,863	6,670
რეკლამის ხარჯები	6,741	11,730
სულ	447,607	231,364

საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	2024	2023
იჯარის ხარჯი	21,509	40,681
მარკეტინგის ხარჯები	147,962	141,517
კომუნიკაციის ხარჯები	1,879	1,517
საკონსულტაციო ხარჯები	3,608	-
სხვა საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	32,223	18,022
სულ	207,181	201,737

16. ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები:

ბალანსის შემდგომი პერიოდში არსებითი მოვლენები არ დაფიქსირებულა, რომლებიც საჭიროებდა ანგარიშგებაში მოცემული პერიოდის კორექტირებას ან დამატებით განმარტებით შენიშვნებში ასახვას.

დირექტორი: / ვუგარ ალიევი/

ბუღალტერი: /მარინა პორტიანკოვა/


